ევროკავშირი
საქართველოსთვის

TWINNING

ევროპულ კვლევით სივრცეში საქართველოს

ინტეგრაციის გზამკვლევი და ზემოქმედების ინსტრუმენტები

აქცენტით საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვალდებულებებზე

2023 - 2028

science KNOW
business GROW

umweltbundesamt
ENVIRONMENT AGENCY AUSTRIA

JOANNEUM RESEARCH

FWF
Der Wissenschaftsfonds.

DLR Projektträger

FFG
Promoting Innovation.

DAUGAVPILS UNIVERSITY

სარჩევი

ევროპულ კვლევით სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის გზამკვლევი და ზემოქმედების ინსტრუმენტები აქცენტით საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვალდებულებებზე 3

შესავალი 4

სტრატეგიული ამოცანები 4

შედეგები 5

მოკლევადიანი შედეგები 6

აქტივობები 7

გაღებული რესურსები 9

გზამკვლევი შემუშავებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „ინტერსექტორალური თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის" ფარგლებში. გზამკვლევის დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის ტვინინგის პროექტის ფარგლებში დაწყებული დიალოგის შედეგად.

ეს გზამკვლევი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ევროპულ კვლევით სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის გზამკვლევი და ზემოქმედების ინსტრუმენტები აქცენტით საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვალდებულებებზე

სტრატეგიული ამოცანები	*საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება ევროპულ კვლევით სივრცეში*		*ევროპულ პროგრამებში საქართველოს კვლევითი საზოგადოებისათვის შესაძლებლობების გახსნა, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს კვლევის სისტემის განვითარებას და მის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას*		*ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობისთვის ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისის, როგორც ძირითადი ეროვნული მხარდაჭერის სტრუქტურის განვითარება*
შედეგები	*ქართველი მეცნიერებისა და ინსტიტუტების მიერ ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამებში წარდგენილი პროექტების გაზრდილი რაოდენობა*		*ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამაში ქართული საპროექტო წინადადებების წარმატების გაზრდილი მაჩვენებელი*	*ქართველი მეცნიერების უფრო მეტი და აქტიური მონაწილეობა ფონდის საერთაშორისო საგრანტო გამოწვევებში*	*გაზიარებული საუკეთესო პრაქტიკა და მეცნიერებსა და ორგანიზაციებს შორისდამყარებული ძლიერი კავშირები /ამოქმედებული საკომუნიკაციო პლატფორმა*
მოკლევადიანი შედეგები	*კონკურენტული წინადადებების წარდგენისათვის საერთამორისო დაფინანსების სქემებში მკვლევართა და ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება*		*საერთაშორისო დაფინანსების პერსპექტივების შესახებ ქართველი მეცნიერების ცნობიერების ამაღლება*		*ინფორმაციის აქტიური გაცვლის აქტივობები და საუკეთესო პრაქტიკისა და შესაბამისი ექსპერტიზის გაზიარების ეფექტური პროცესი*
აქტივობები	*ფონდის მონაწილეობა და აქტიური ჩართულობა კვლევისა და ინოვაციის შესახებ ევროკავშირის საქმიანობაში*	*ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისი საგრანტო კონკურსისათვის ახალი საპროექტო წინადადებების შემუშავებისათვის სახელმძღვანელო მითითებების გაცემა*	*ტრენინგი საპროექტო წინადადების მომზადებაში* *პარტნიორების მოძიებაში ქართული ორგანიზაციების დახმარება*	*შესაბამისი საკომუნიკაციო პლათფორმების საშუალებით ევროკავშირის დაფინანსების პროგრამებთან დაკავშირებით მიზნობრივი ინფორმაციის გავრცელება*	*ჰორიზონტ ევროპის ეროვნულ ოფისში ეროვნულ საკონტაქტო პირთა ქსელის შესაძლებლობების გაზრდა*
გაღებული რესურსი	*საქართველოს მხრიდან პოლიტიკური ნება იმისა, რომ მხარი დაუჭიროს ქართული კვლევის ინტერნაციონალიზაციას* *საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების მზაობა და ჩართულობა კვლევისა და ინოვაციის პროგრამებსა და სქემებში აქტიური მონაწილეობის მიმართ* *ფონდის მზადყოფნა მხარი დაუჭიროს ევროკავშირის მიერ კვლევასა და ინოვაციაში განხორციელებულ პარტნიორულ სქემებსა და მისიებს* *ფონდმა დაამყარა ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობები* *დაარსდა საქართველოს ჰორიზონტი ევროპის ეროვნული ოფისი*				

შესავალი

ევროპულ კვლევის სივრცეში ინტეგრაცია განიხილება, როგორც ერთ-ერთი ეროვნული პრიორიტეტი და ძალისხმევა.
ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაცია მნიშვნელოვანია საქართველოში კვლევითი პოტენციალის განვითარებისთვის. ევროკავშირის ჩარჩო პროგრამასთან, ჰორიზონტ ევროპასთან ასოცირება განიხილება, როგორც ამ მიმართულებით განვითარებისა და პროგრესის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. შესაბამისად, გზამკვლევი წარმოდგენილია, როგორც მომავალი საქმიანობისა და მიზნების გზა.

სტრატეგიული ამოცანები

<u>ევროპის კვლევით სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება</u>

საქართველოსთვის არსებითია გახდეს ევროპის კვლევითი სივრცის ნაწილი, რათა თავის ეროვნულ სისტემაში განავითაროს და ინტეგრირდეს კვლევის თანამედროვე პრინციპები, ასევე მონაწილეობა მიიღოს და ისარგებლოს საერთაშორისო კვლევის ნიადაგით, რაც ევროპის კვლევით სივრცეში ტარდება გლობალური დაბრკოლებებისა და გამოწვევების დასაძლევად. საქართველო თავის თავს განიხილავს ევროპული სამეცნიერო ოჯახის წევრად, შესაბამისად ყველა ძალიასხმევა ამისაკენაა მიმართული.

<u>ქართული კვლევის საზოგადოებისათვის ევროპულ პროგრამებში შესაძლებლობების გახსნა, რათა ხელი შეეწყოს საქართველოს კვლევის სისტემის განვითარებას და მის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას</u>

ფონდის ერთ-ერთი პრიორიტეტია ქართველი მკვლევარებისთვის შესაძლებლობების შექმნა, რათა გაძლიერდეს კვლევისა და ინოვაციების ევროპულ პროგრამებში მონაწილეობა და წაახალისონ ისინი, სრულად ისარგებლონ ამ პროგრამების შესაძლებლობებით, რაც გააძლიერებს კვლევის სისტემებს გრძელვადიან პერსპექტივაში. საქართველო სრულად აფასებს ევროპის კვლევითი სივრცის ფარგლებში ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხებისა და პრინციპების განვითარებას და აპირებს მხარი დაუჭიროს ამ პრინციპების დანერგვას ადგილობრივ კვლევით და ინოვაციურ გარემოში.

<u>ჰორიზონტ ევროპის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობისთვის ჰორიზონტ ევროპის ოფისის, როგორც ძირითადი ეროვნული დამხმარე სტრუქტურის განვითარება</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფუძნა ევროკავშირის ჰორიზონტ ევროპის ოფისი, როგორც ეროვნული მხარდაჭერის სისტემა, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ჰორიზონტ ევროპაში მონაწილეობის მობილიზებასა და მხარდაჭერაში.

სტრატეგიული თვალსაზრისით, ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისის განვითარება უკავშირდება ინფორმაციის გავრცელებას, ჰორიზონტ ევროპის შესახებ ცოდნის გაზრდას, ევროკავშირის პროგრამების პორტფოლიოში ჩართულობაში საქართველოს კვლევითი ინსტიტუტების მხარდაჭერას, შესაბამისი განმცხადებლების იდენტიფიცირებას, განმცხადებლებსა და პროექტის მონაწილეებისთვის ხელმძღვანელობასა და რჩევების მიცემას, შესაძლებლობების განვითარების ტრენინგების შეთავაზებას, ასევე, სხვა სასწავლო აქტივობებისა და ფინანსური წახალისების სქემების შეთავაზებას.

ოფისი წარმოადგენს კავშირს ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასა და ევროკომისიის შესაბამის სტრუქტურებს შორის.

შედეგები

<u>ქართველი მეცნიერებისა და ინსტიტუტების მიერ ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამებში წარდგენილი პროექტების გაზრდილი რაოდენობა.</u>

მთლიანობაში, ევროპის კვლევით სივრცეში ინტეგრაციის ყველაზე პირდაპირი გზა არის ქართველი მკვლევარებისა და ინსტიტუტების მონაწილეობა ევროპულ კვლევით პროგრამებსა და პროექტებში. მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს ეფექტური შედეგების მიღებას, რაც ორმხრივ სარგებელს მოემსახურება. საპროექტო წინადადებების წარდგენა ქართულ კვლევით საზოგადოებას გააცნობს ევროპულ აქტუალურ კვლევით თემებს, უზრუნველყოფს ევროპულ პარტნიორებთან კონსორციუმებში ინტეგრაციას, გააღრმავებს გამოცდილებას ევროპულ პროგრამებთან და ამ გზით შექმნის საფუძველს შემდგომი წარმატებული მონაწილეობისათვის.

ფონდისა და საქართველოს ჰორიზონტ ევროპის ოფისის ერთობლივი ძალისხმევით, პოტენციურ მონაწილეებს წარედგინათ ჰორიზონტ ევროპისა და ევროპული პროგრამების შესაძლებლობები, შესაბამისად, ქართველი მკვლევარები უფრო აქტიურად ეცნობიან ევროპულ ინსტრუმენტებს, რაც გამოიხატება მათი ასეთ პროგრამებში აქტიური მონაწილეობით.

<u>ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამებში ქართული წინადადებების წარმატების გაიზარდილი მაჩვენებელი</u>

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაციის კუთხით, შეიქმნა ურთიერთობების/პოტენციური პარტნიორების კარგი საფუძველი მომავალ პროექტებში მონაწილეობისათვის, მოიპოვა კოლექტიური და ინდივიდუალური ცოდნა ჰორიზონტის პროექტები მონაწილეობის შესახებ. ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისის მიერ მხარდაჭერილი გაზრდილი მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს წარმატების მაღალი მაჩვენებლისა და ევროკავშირის პროგრამებში ეფექტური ინტეგრაციის წინაპირობად.

ქართველი მეცნიერების უფრო დიდი და აქტიური მონაწილეობა ფონდის საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში

საქართველოში კვლევითი პოტენციალის განვითარებისათვის აუცილებელია ევროპის კვლევით სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება. ფონდის მიერ ადმინისტრირებული ეროვნული დონის მიზნობრივი პროგრამები ემსახურება ამ მიზნისაკენ სვლას.
ფონდის მიზანია საერთაშორისო ქსელის მიმართ მკვლევართა პროფესიული განვითარების გაუმჯობესება, კვლევის შედეგებისა და იდეების გაცვლის გზით მეცნიერული აღმოჩენის პროცესის დაჩქარება და მკვლევრების ჩართვა და მომზადება მრავალგუნდურ საერთაშორისო თანამშრომლობებში.

გაზიარებული საუკეთესო პრაქტიკა და მეცნიერებსა და ორგანიზაციებს შორის დაამყარებული ძლიერი კავშირები / ამოქმედებული საკომუნიკაციო პლათფორმა

ფონდის სურვილს წარმოაგენს ძლიერი საერთაშორისო პარტნიორობა, რომელიც შეიძლება გახდეს ახალი კვლევითი ქსელებისა და თანამშრომლობის საფუძველი. აღნიშნული გააფართოებს ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს.
ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მჭიდრო კავშირების დამყარება ეროვნული საკონტაქტო პირების თემატურ ჯგუფებს შორის. წაახალისოს ინფორმაციის გაცვლა ქსელებს შორის ერთიანად გაუმჯობესებული და პროფესიონალიზებული ეროვნული საკონტაქტო პირების სერვისით.

მოკლევადიანი შედეგები

კონკურენტული წინადადებების წარდგენისათვის საერთაშორისო დაფინანსების სქემებში მკვლევართა და ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება

ჰორიზონტ ევროპის ოფისთან თანამშრომლობით, ფონდი აიღებს პასუხისმგებლობას ქართველი მკვლევარებისთვის მიზნობრივი ტრენინგების, სემინარების, ვებინარებისა და სხვა შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობების ორგანიზებაზე. ამგვარად, კვლევით საზოგადოებებს შესაძლებლობა ექნებათ ხელი შეუწყონ ევროპულ პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობებს, შექმნან თანამშრომლობის პარტნიორების ქსელები და გაიუმჯობესონ უნარები საპროექტო წინადადებების მომზადებისათვის.

ქართველი მეცნიერებისა და ინსტიტუტებისათვის საერთაშორისო დაფინანსების პერსპექტივების შესახებ ცნობიერების ამაღლება

მიზანმიმართული კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების დივერსიფიცირებული მიდგომის მეშვეობით, რომელიც მოიცავს შესაბამის ტექნიკურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა პარტნიორის მოძიების ონლაინ პლათფორმები, ასევე საქართველოს რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუმჯობესდება ქართული კვლევითი საზოგადოების შესაძლებლობები ევროკავშირის დაფინანსების პროგრამებში ჩართვაში. საინფორმაციო კამპანიებთან და ცნობიერების ამაღლების შეხვედრებთან დაკავშირებულ აქტივობებში, ფონდისა და ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისის ერთობლივი კონტრიბუციით ქართველი მეცნიერები უფრო კარგად იქნებიან გარკვეულნი ევროკავშირის სქემებში და ექნებათ შესაბამის პროგრამებთან მიზნობრივი მიდგომები.

<u>ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული ღონისძიებები და საუკეთესო პრაქტიკისა და შესაბამისი ექსპერტიზის გაზიარების ეფექტური პროცესი</u>

ეროვნული საკონტაქტო პირთა სისტემის მეშვეობით საქართველოს კვლევით დაწესებულებებთან და სამეცნიერო საზოგადოების ძირითად აქტორებთან დამყარებული მჭიდრო კავშირი ქმნის ინტეგრირებულ საინფორმაციო ქსელს, რომელსაც კოორდინაციას უწევს საქართველოს ჰორიზონტი ევროპის ოფისი. ფონდისა და ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისის შექმნილი ეს საინფორმაციო ქსელი აძლიერებს ინფორმაციის გაცვლას ევროკავშირის დაფინანსების პროგრამების საკონტაქტო პირებს შორის და მხარდაჭერილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ეროვნულ საკონტაქტო პირთა ინიციატივებში მონაწილეობით, იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საუკეთესო პრაქტიკის მიდგომა საქართველოს მხარდაჭერის სისტემის შემდგომ განვითარებაში.

აქტივობები

<u>კვლევისა და ინოვაციის შესახებ ევროკავშირის საქმიანობაში ფონდის მონაწილეობა და აქტიური ჩართულობა</u>

ფონდი აქტიურად ცდილობს ჩაერთოს ევროპულ დაფინანსების სააგენტოებთან თანამშრომლობაში, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის პროგრამებში სტრატეგიულად საინტერესო კონკრეტულ სფეროებში, ხელი შეუწყოს ინსტიტუციურ განვითარებას და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო სისტემის შესაძლებლობები, კერძოდ, ხელი შეუწყოს ტვინის ცირკულაციას მთელს ევროპულ კვლევით სივრცეში მკვლევართა და ნოვატორთა, პოლიტიკის შემქმნელთა და კვლევის მენეჯერთა ქსელების განვითარებას, რათა თავიანთი სრული აქტივები მოაქციონ ევროპის კვლევითი სივრცის არეალში. გარდა ამისა, ფონდი მზადაა ჩაერთოს შესაბამის ქართველ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა განიხილონ ევროპის კვლევითი სივრცის დღის წესრიგი საქართველოში.

<u>ფონდის ინტერნაციონალიზაციის დამატებითი აქტივობები</u>

ფონდის ორმხრივი სქემები, რომლებიც სპეციალურად შექმნილია სტიპენდიებისა

და ერთობლივი კვლევითი პროგრამებისათვის, ავსებს საჭიროებებს და მხარს უჭერს ქართველ მკვლევარებს ინტერნაციონალიზაციის აქტივობებში. ფონდი მუდმივად შეაფასებს ეროვნული ინსტრუმენტების ადაპტირების აუცილებლობას ევროპულ პროგრამებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით და ადეკვატურად გააფართოებს ორმხრივ სქემებს. ფონდის დაფინანსების პროგრამები მიზნად ისახავს მკვლევარების მხარდაჭერას სხვადასხვა მობილობის შესაძლებლობების მიწოდებით მათი შემდგომი კარიერული განვითარებისათვის.

ფონდი ცდილობს მხარი დაუჭიროს არსებულ ორმხრივ თანამშრომლობას და გამოავლინოს ახალი პარტნიორი ორგანიზაციები საერთაშორისო დონეზე, რათა ჩამოაყალიბოს თანამშრომლობის ახალი სქემები, რომლებიც მოიცავს მობილობის პროგრამების შემუშავებას სხვადასხვა დონისა და კარიერის ეტაპების, ქსელური გრანტების (მათ შორის, კონფერენციის გრანტები) ჩამოყალიბებისთვის, შესაბამისად, ქართველი მკვლევარებისათვის შესაძლებლობების გაფართოებას მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ საერთაშორისო კვლევით აქტივობებში.

<u>ევროკავშირის ჩარჩო პროგრამის ჰორიზონტ ევროპის საგრანტო განაცხადებისთვის ახალი საპროექტო წინადადებების შემუშავებაში ხელმძღვანელობა</u>

საქართველოს ჰორიზონტ ევროპის ოფისი არის მთავარი აქტორი, რომელიც შეიმუშავებს ახალ საპროექტო განაცხადებს ჰორიზონტ ევროპის ახალი საგრანტო კონკურსისათვის.
ამასთან დაკავშირებით, ფონდი საქართველოს ჰორიზონტ ევროპის ოფისთან თანამშრომლობით განახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს, იმისათვის, რათა აამაღლოს ჰორიზონტ ევროპისა და ევროკავშირის სხვა პროგრამების შესახებ ცნობიერება, მხარი დაუჭიროს კვლევით ინსტიტუტებს შესაბამისი განმცხადებლების იდენტიფიცირებაში, უხელმძღვანელებს და რჩევებს მისცემს განმცხადებლებსა და პროექტის მონაწილეებს, ამასთან შესთავაზებს ფინანსური წახალისების სქემებს, იმისათვის, რათა გააძლიეროს ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობა.

<u>განაცხადის შედგენაში მომზადება / პარტნიორთა მოძიებაში ქართული ორგანიზაციების დახმარება</u>

ქართველი მკვლევარების მხარდასაჭერად იგეგმება ფონდისა და ევროკავშირის ჩარჩო პროგრამის ჰორიზონტ ევროპის მიერ კოორდინირებული სპეციალური მიზნობრივი ღონისძიებების ორგანიზება ტრენინგების, სამუშაო შე და მრგვალი მაგიდის ფორმატის მეშვეობით, რათა გაიუმჯობესონ უნარები განაცხადების წერაში და დაეხმარონ შესაბამისი პარტნიორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, ასევე, დაეხმარონ საერთაშორისო დონეზე ორგანიზებული საკომუნიკაციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

<u>შესაბამისი საკომუნიკაციო პლატფორმების საშუალებით ევროკავშირის დაფინანსების პროგრამებთან დაკავშირებით მიზნობრივი ინფორმაციის გავრცელება</u>

შესაბამისი პლატფორმების შემუშავებით და გამოყენებით (მაგ. საინფორმაციო სერიები, შეხვედრები, ქართულ სისტემაში ინტეგრირებული ვებ პლატფორმა) საქართველოს ჰორიზონტ

ევროპის ოფისი დაფინანსების შესაძლებლობებთან დაკავშირებით საქართველოს სამეცნიერო სისტემის ყველა დაინტერესებულ მხარეს აწვდის შესაბამის ინფორმაციას.

- ეროვნულ საკონტაქტო პირთა ქსელის შესაძლებლობების გაზრდა ჰორიზონტ ევროპის ოფისის ფარგლებში

ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისის მიზანია მხარი დაუჭიროს ეროვნული საკონტაქტო პირების შესაძლებლობების განვითარებას ჰორიზონტ ევროპის შესაბამისი თემებისა და ქმედებების ტიპების არჩევის, ადმინისტრაციული პროცედურებისა და საკონტრაქტო საკითხების შესახებ რჩევების, ტრენინგის და განაცხადების შედგენაში დახმარების, დოკუმენტაციის განაწილებასა (ფორმები, გაიდლაინები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) და პარტნიორთა მოძიებაში.

გაღებული რესურსები

- პოლიტიკური ნება საქართველოს მხრიდან მხარი დაეჭიროს ქართული კვლევების ინტერნაციონალიზაციის პროცესს

საქართველოს მომავლისათვის, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარება გადამწყვეტია კონკურენტუნარიანობისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ახალი ცოდნის გაზიარებისა და ინოვაციური იდეების შემოტანის მიზნით, საქართველომ პრიორიტეტად დაისახა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოს სამეცნიერო სისტემის ყველა სექტორში.

- საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების მზადყოფნა და ჩართულობა საერთაშორისო კვლევისა და ინოვაციების პროგრამებსა და სქემებში აქტიური მონაწილეობის მიმართ

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება აღიარებს მსოფლიოს უდიდეს კვლევისა და ინოვაციების პროგრამაში, ჰორიზონტ ევროპასა და სხვა ევროპულ პროგრამებში მონაწილეობის აუცილებლობას და ხარისხისა და მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით ისწრაფვიან კვლევითი აქტივობების საერთაშორისო კონტექსტში ინტეგრირებისთვის.

- ფონდის მზაობა მხარი დაეჭიროს ევროკავშირის მიერ კვლევებსა და ინოვაციებში პარტნიორობის სქემებსა და მისიებს

ფონდი, როგორც მთავარი დამფინანსებელი ორგანიზაცია, სრულად იზიარებს ასოცირების ხელშეკრულებასთან მიმართებაში არსებულ სახელმწიფო პოლიტიკას და მზად არის მხარი დაუჭიროს პარტნიორული სქემებითა და მისიებით განსაზღვრულ მიზნებს.

ფონდის მიერ დაამყარებული ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები

საქართველოს სამეცნიერო სისტემის ინტერნაციონალიზაციის პროცესის გააქტიურების მიზნით, ფონდის სტრატეგიული აქცენტი საერთაშორისო კოლეგებთან პარტნიორობის დამყარებაზე ესადაგება აქტივობებს ევროკავშირის დონეზე.

დაარსებული ჰორიზონტი ევროპის ქართული ეროვნული ოფისი

სტრატეგიული გრძელვადიანი და მიზანზე ორიენტირებული პერსპექტივით, იმისათვის, რათა წარმატებას მიაღწიოს ევროპულ კონკურსებში და მონაწილეობა მიიღონ ისეთ თანამშრომლობაში, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებს, დაარსდა ჰორიზონტ ევროპის ეროვნული ოფისი, როგორც სამეცნიერო სისტემაში დაინტერესებული მხარეებისათვის მხარდამჭერი ერთი ფანჯრის საშუალება და ევროპული მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში ინტეგრაციის მცდელობა.